საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

N 128 18/09/2015

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2015 წლის 15 აგვისტოდან - 15 სექტემბრამდე კომისიამ ჩაატარა ორი სხდომა აღნიშნული კომისიის სხდომის დროს განხილული იქნა 4 საკითხი:

1. ოზურგეთიოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით შეტანილი ცვლილებების შესახებ.

მომხს: გ. მამაკაიშვილი

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობისა და შესრულების შესახებ.

მომხს: ტ. არუშიძე

3. „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად გეოგრაფიული ობიეტქების სახელდების, დასახელებაში არსებული შენობა-ნაგებობის ნუმერაციის წესის დადგენის თაობაზე.

მომხს: ბ. გობრონიძე

4. „მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების, მუნიციალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერების და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავების, ტერიტორიის გამწვანების, გარე განათების მოწესრიგების თაობაზე“.

მომხს: გ. აბაშმაძე

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა მოისმინეს და განიხილეს ოზურგეთის მუნციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის გ. მამაკაიშვილის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით შეტანილი ცვლილებების შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობისა და შესრულების შესახებ“ ინფორმაციები.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს „ოზურგეთის მუნციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ინფრაქტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით შეტანილი ცვლილებების შესახებ“ გ. მამაკაიშვილის და

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციოო სამუშაოების მიმიდინარეობის და შესრულების შესახებ“ ტ. არუშიძის ინფორმაციები მიღებულ იქნას ცნობად.

მესამე საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრება მოისმინეს და განიხილეს რა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის ბ. გობრონიძის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად გეოგრაფიული ობიეტქების სახელდების, დასახელებაში არსებული შენობა-ნაგებობის ნუმერაციის წესის დადგენის თაობაზე“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გ. აბაშმაძის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების, მუნიციალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერების და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავების, ტერიტორიის გამწვანების, გარე განათების მოწესრიგების თაობაზე“ ინფორმაციები.

კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის ბ. გობრონიძის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად გეოგრაფიული ობიეტქების სახელდების, დასახელებაში არსებული შენობა-ნაგებობის ნუმერაციის წესის დადგენის თაობაზე“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გ. აბაშმაძის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების, მუნიციალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერების და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავების, ტერიტორიის გამწვანების, გარე განათების მოწესრიგების თაობაზე“ ინფორმაციები მიღებულ იქნას ცნობად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია ჩართულია და აწარმოებს მონიტორინგს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების და სოფლის მხარდამჭერი პროგარამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოფლის მხადამჭერი პროგრამა თითქმის დასრულების ფაზაშია, 28 ადმინიტრაციული ერთეულში ერთობლივად მიმდინარეობს სამუშაოები, ზოგიერთ სოფელში პროგრამა უკვე დასრულებულია.

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 20 ადმინიტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს სამუშაოები, რომლის საერთო ღირებულება 1 450 000 ლარია, ხოლო რაც შეეხება მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოგახსენებთ, რომ მერია-ლაითურის დამაკავშირებელ ხიდზე მიმდინარეობს სამუშაოები, წარმოებს თურქეთიდან კოჭების ჩამოტანა, დარჩენილია 6 კოჭის ტრანსპორტირება, ნოემბრის შუა რიცხვებში იგეგმება აღნიშნული პროექტის დასრულება. მერია-კონჭკათის საავტომობილო მონაკვეთზე რომლის სიგრძეა 3,5 კმ, გადასაგებია ასფალტის მეორე ფენა, დარჩენილია ბეტონის სამუშაოები და დასაყენებელია საგზაო ნიშნები, მშენებლები გვპირდებიან, რომ პროექტი ოქტომბრის ბოლოს დასრულდება. დასრულებულია შემოქმედი-ცხემლისხიდის 1,5 კმ მონაკვეთის ასფალტით მოწყობა. დასრულებულია მელექედური-დვაბზუს 2კმ-იანი

მონაკვეთი, მოგეხსენებათ ეს პროექტი გახლდათ გარდამავალი და მთლიანად დასრულებულია, ასევე დასრულებულია სილაურის ადმინისტრაციული შენობა.

მიმდინარეობს სამუშაოები მერიის მაღალსართულიან სახლზე, სადაც სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ 90-მდე უსახლკარო ოჯახი განთავსდება.

სოფ. ჭანიეთში მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა, მორჩა ნულოვანი ციკლის სამუშაოები, ხოლო რაც შეეხება საბავშვო ბაღებს ცხემლისხიდის კერძოდ ბაღდადის და ბახვის ადმინისტრაციულ ერთეულებში უახლოეს დღეებში გაოცხადდება ტენდერები, ასვე უახლოეს დღეებში იგეგმება ჯუმათის წყალმომარაგების პროექტზე ტენდერის გამოცხადება.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით სამი კვარტლის გეგმა ფაქტიური და საკასოც შესრულებულია გადაჭარბებით, ამავე მაჩვენებლით ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში.

ტარიელ არუშიძე

კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია